საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1884-03
18/06/2020

რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლით საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ“ დამატებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტის საფუძველზე და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2020 წლის 18 ივნისის N5604-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს დამატება რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებულ ,,ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირების წესსა და პროცედურებში“ და დაემატოს მე-8 მუხლი შემდეგი რედაქციით:

,,8. _ფორსმაჟორულ სიტუაციაში მასპინძელ უნივერსიტეტში მობილობის პერიოდის ცვლილება

ფორსმაჟორულ სიტუაციაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ნომინირებული სტუდენტის მასპინძელ უნივერსიტეტში მობილობის პერიოდის ცვლილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული სამი პირობა:

ა) ფორსმაჟორული ვითარებიდან გამომდინარე მობილობის პერიოდის ცვლილების ინიციატორი არის მასპინძელი უნივერსიტეტი;

ბ) მობილობის პერიოდის ცვლილება თანხვედრაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებთან (იხ. 2.2.1. პუნქტი: დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები);

გ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის მიერ გაცემულია თანხმობა მობილობის პერიოდის ცვლილების შემთხვევაში მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსების კურიკულუმის ფარგლებში აღიარების შესაძლებლობის შესახებ.“

2. შევიდეს ცვლილება რექტორის 2018 წლის 12 მარტის N983-03 ბრძანებაში და დაემატოს 1^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:
,,1^1. დამტკიცდეს ამ ბრძანების მეორე დანართი უცხო ენის კომპეტენციის შეფასების კრიტერიუმების შესახებ“.

3.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებისა და წესის კონსოლიდირებული ვერსიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ბრძანება უნივერსიტეტის ფაკულტეტებს/სკოლებს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის სამდივნოს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, იურიდიულ სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი